ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება:**ბ48. 48253642**

თარიღი:**30/12/2025**

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრის საშტატო ნუსხისა და სახელფასო განაკვეთების დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 12 ივნისის №31 654 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის №42 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „დ.ბ“ ქვეპუნქტის, „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრის“ საშტატო ნუსხასა და სახელფასო განაკვეთებში ცვლილების შეტანის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 დეკემბრის გ-49.49253604 განკარგულების, „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრი“-ს (ს/კ 421274515) წესდების ახალი რედაქციით დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 12 დეკემბრის №ბ48.482334615 ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-4 მუხლის 2,10 პუნქტისა და ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრი”-ს დირექტორის 2025 წლის 23 დეკემბრის №126/42 წერილის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შეტანილ იქნას ცვლილება „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრი-ს საშტატო ნუსხისა და სახელფასო განაკვეთების დამტკიცების შესახებ” წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 12 ივნისის №31 654 ბრძანებაში და ამ ბრძანებით დამტკიცებული საშტატო ნუსხა ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით დანართი ერთის შესაბამისად.

2. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაეკისროს ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაცო ცენტრი“-ს დირექტორს (ვ.ზურაბიანი).

3. ბრძანება ძალაში შევიდეს 2026 წლის 1 იანვრიდან.

ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გენადი ბალანჩივაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი